შპს „ჯითიეი ტრეიდი“-ს ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

ერთეული:1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი		შენიშვნა
	31.12.2022	31.12.2021	
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	12780	55379	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	647634	1025353	3.2
მარაგები	1337858	1623182	3.3
მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნები	18117	20770	3.4
სხვა მოკლევადიანი აქტივები	94655	96064	
ძირითადი საშუალებები	159154	170081	3.5
სხვა გრძელვადიანი აქტივები	22634	22634	
გაცემული სესხები	1000048	1146465	3.4
სულ აქტივები	**3292880**	**4159929**	
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1210087	926753	3.6
საგადასახადო ვალდებულებები			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	254762	337252	3.7
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2083990	2807394	3.7
სულ ვალდებულებები	**3548839**	**4071399**	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	1084244	1084244	
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-1340203	-995714	
სულ საკუთარი კაპიტალი	**-255959**	**88530**	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**3292880**	**4159929**	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 03.01.2024 წ.

დირექტორი: _____ ლევან საკანდელიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2022	2021	
ნეტო ამონაგები	**9270987**	**15286626**	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**(8768912)**	**(13802061)**	
საერთო მოგება	**502075**	**1484565**	
მიწოდების ხარჯი	(189761)	(310669)	3.8
იჯარის ხარჯი	(86847)	(90644)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(592216)	(720745)	3.9
სულ საოპერაციო ხარჯები	**(868824)**	**(1122059)**	
საოპერაციო მოგება	**(366749)**	**362506**	
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	184261	157224	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	(203361)	(314098)	3.10
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	**-385849**	**205632**	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	**-385849**	**205632**	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	**-385849**	**205632**	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	**88530**	**-117102**	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები	41359		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**-255959**	**88530**	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 03.01.2024 წ.

დირექტორი: _____ ლევან საკანდელიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2022	**2021**
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	541957	(1468955)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(6990)	(110993)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-576918	1441203
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	**-41951**	**-138744**
სავალუტო კურსის ეფექტი	(648)	(1740)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**55379**	**195863**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**12780**	**55379**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 03.01.2024 წ.

დირექტორი: _____ **ლევან საკანდელიძე**

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ნაწილი

1.1. **შპს „ჯითიეი ტრეიდი“** (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 406167650. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვ. ივერიელის ქ., N 36-38, ბ. 18, თუმცა მისი ფაქტობრივი მისამართი და საქმიანობის განხორციელების ადგილი არის საქართველო, თბილისი, რევაზ მამისაშვილის #83.

1.2. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა ასეთია:

01024011087, ლევან საკანდელიძე	10.00%
01011005607, გიორგი ტალახაძე	10.00%
სააქციო საზოგადოება სს დაკო, 405197781	80.00%
სულ	**100.00%**

1.3. კომპანიის დირექტორია ლევან საკანდელიძე, (პ.ნ. 01024011087)

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ალუმინის სხმულების წარმოება და რეალიზაცია. ასევე სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება პროდუქციის გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად.

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები),

რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018-2019-2020-2021-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 2.7020 ლარი;

1 EUR = 2.8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 3.0976 ლარი;

1 EUR = 4.5040 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	11669	55372
ფული საბანკო ანგარიშებზე/ოვერდრაფტი	1111	7
სულ:	**12780**	**55379**

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს რამოდენიმე კომერციულ ბანკში: სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“.

3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები	618669	894202
საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(82665)	(82665)
გადახდილი ავანსები	111630	97028
მოთხოვნა თანამშრომელთა მიმართ	0	116788
სულ:	**647634**	**1025353**

3.3. მარაგები

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ნედლეული და მასალები	1304475	1604058
მზა პროდუქცია	22874	6940
სხვა მარაგები	10509	12185
სულ:	**1337858**	**1623182**

კომპანია მარაგებზე აღრიცხავს ალუმინის სხულის საწარმოებლად საჭირო სხვადასხვა ლითონებსა და მარილებს. მზა პროდუქცია კი არის ალუმინის სხმული, რომელიც

განკუთვნილია გასაყიდად. ასევე წარმოების შედეგად მიიღება წუნდებული პროდუქცია, რომელიც ისევ ნედლეულზე აღირიცხება, რდაგნ ხდება მისი ხელახალი გამოყენება წარმოების პროცესში.

3.4. გაცემული სესხები

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
12 თვემდე მისაღები	18117	20770
ერთი წლის შემდეგ მისაღები	1000048	1146465
სულ:	**1018165**	**1167235**

3.5. ძირითადი საშუალებები:

ისტორიული ღირებულება	მანქანა-დანადგარები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	საოფისე აღჭურვილობა	სხვა	სულ
1 იანვარი 2021	168,096	26,712	9,458	34,120	**238,387**
შეძენა	17,282		1,329	69,748	**88,359**
ჩამოწერა					**-**
31 დეკემბერი 2021	185,379	26,712	10,787	103,868	**326,745**
შეძენა	6,217		774		**6,990**
ჩამოწერა					**-**
31 დეკემბერი 2022	191,596	26,712	11,561	103,868	**333,736**
დაგროვილი ცვეთა					
1 იანვარი 2021	(80,311)	(30,496)	(5,267)	(16,537)	**(132,612)**
დარიცხვა	(6,089)	(147)	(1,848)	(15,969)	**(24,053)**
ჩამოწერა					**-**
31 დეკემბერი 2021	(86,400)	(30,643)	(7,115)	(32,506)	**(156,664)**
დარიცხვა	(6,425)	(125)	(1,800)	(9,568)	**(17,917)**
ჩამოწერა					**-**
31 დეკემბერი 2022	(92,825)	(30,768)	(8,914)	(42,074)	**(174,581)**
წმინდა საბალანსო ღირებულება					
1 იანვარი 2021	87,785	(3,784)	4,192	17,583	**105,775**
31 დეკემბერი 2021	98,978	(3,931)	3,672	71,362	**170,081**
31 დეკემბერი 2022	98,771	(4,056)	2,646	61,793	**159,154**

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
სავაჭრო ვალდებულებები	1056923	876409
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	38930	33838
მიღებული ავანსები	114234	16506
სულ:	**1210087**	**926753**

3.7. სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
სს "საქართველოს ბანკი" (მიმდინარე ნაწილი)	249662	215901
სს "საქართველოს ბანკი" (გრძელვადიანი ნაწილი)	1447834	2003691
სს "თიბისი ბანკი" (მიმდინარე ნაწილი)		53
სს "თიბისი ბანკი" (გრძელვადიანი ნაწილი)		
სესხი სხვა რეზიდენტი კომპანიისგან (მიმდინარე ნაწილი)	5100	121297
სესხი სხვა რეზიდენტი კომპანიისგან (გრძელვადიანი ნაწილი)	636156	803703
სესხი რეზიდენტი ფიზიკური პირისგან (მოკლევადიანი)		
სულ:	**2338752**	**3144645**

3.8. მიწოდების ხარჯები

	2022 წელი	2021 წელი
მარკეტინგული ხარჯი	(2102)	
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	(24402)	(36530)
საბაჟო პროცედურების ხარჯი	(163257)	(274139)
სულ:	**(189761)**	**(310669)**

3.9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2022 წელი	2021 წელი
დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება	(297925)	(275719)
ცვეთის ხარჯი	(17917)	(24053)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება		
კომუნალური მომსახურების ხარჯი	(36727)	(53487)
საკონსულტაციო ხარჯი	(48185)	(73770)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(55287)	(111538)
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯი	(14830)	(26029)
საგადასახადო ხარჯი	(2081)	
საბანკო ხარჯი	(16819)	(50240)
მივლინების ხარჯი	(2186)	(12086)
კავშირგაბმულობის ხარჯი	(3325)	(616)
საწვავის ხარჯი	(96934)	(93208)
სულ:	**(592216)**	**(720745)**

3.10. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი

	2022 წელი	2021 წელი
საპროცენტო შემოსავალი		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	246	1498
საპროცენტო ხარჯი	(202984)	(314080)
სხვა არასოპერაციო ხარჯი	(623)	(1515)
სულ:	**(203361)**	**(314098)**

3.11. სასამართლო დავები

კომპანიას 2022წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა სხვა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მ ოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.13. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2022 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

ერთეული:1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი		შენიშვნა
	31.12.2022	31.12.2021	
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	12780	55379	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	647634	1025353	3.2
მარაგები	1337858	1623182	3.3
მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნები	18117	20770	3.4
სხვა მოკლევადიანი აქტივები	94655	96064	
ძირითადი საშუალებები	159154	170081	3.5
სხვა გრძელვადიანი აქტივები	22634	22634	
გაცემული სესხები	1000048	1146465	3.4
სულ აქტივები	**3292880**	**4159929**	
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1210087	926753	3.6
საგადასახადო ვალდებულებები			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	254762	337252	3.7
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2083990	2807394	3.7
სულ ვალდებულებები	**3548839**	**4071399**	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	1084244	1084244	
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-1340203	-995714	
სულ საკუთარი კაპიტალი	**-255959**	**88530**	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**3292880**	**4159929**	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 03.01.2024 წ.

დირექტორი: _____ ლევან საკანდელიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

GTA TRADE LTD 406167650

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2022	2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	541957	(1468955)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(6990)	(110993)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-576918	1441203
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	**-41951**	**-138744**
სავალუტო კურსის ეფექტი	(648)	(1740)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**55379**	**195863**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**12780**	**55379**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 03.01.2024 წ.

დირექტორი: _____ ლევან საკანდელიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2022	2021	
ნეტო ამონაგები	**9270987**	**15286626**	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**(8768912)**	**(13802061)**	
საერთო მოგება	**502075**	**1484565**	
მიწოდების ხარჯი	(189761)	(310669)	3.8
იჯარის ხარჯი	(86847)	(90644)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(592216)	(720745)	3.9
სულ საოპერაციო ხარჯები	**(868824)**	**(1122059)**	
საოპერაციო მოგება	**(366749)**	**362506**	
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	184261	157224	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	(203361)	(314098)	3.10
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	**-385849**	**205632**	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	**-385849**	**205632**	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	**-385849**	**205632**	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	**88530**	**-117102**	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები	41359		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**-255959**	**88530**	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 03.01.2024 წ.

დირექტორი: _____ ლევან საკანდელიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.